



**ბილოცავით! ევროკავშირს საბჭო
მიიღო გადაწყვეტილება
საქართველოს მიენიჭოს
ევროკავშირის წევრობის
კანდიდატის სტატუსი!**



ა ლ ი ო ნ ი

გურია უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 30 (10466) 18 დეკემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

**სოფელ აკეთში
საპროტესტო აქცია
განიმართა**



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. სოფლის ცენტრში შეკრებილმა მოსახლეობამ, მდინარე სუფსის ხეობაში ინერტული მასალების მომპოვებელი კომპანიების მიერ ქვიშა-ხრეშის უკანონოდ მოპოვება გააპროტესტეს და კარიერის ფუნქციონირების შეჩერება მოითხოვეს. ადგილობრივების თქმით, მდინარე სუფსის ხეობაში ქვიშა

ხრეშის წესების დარღვევით მოპოვების გამო, სოფელში არტეზიული ჭები დაშრა, სოფლის მოსახლეობის კუთვნილ ნაკვეთებში მოსავალმა იკლო და გლეხობა მდინარის ხეობაში საკუთარი სახნავ სათესი ფართობების გარეშე დარჩენის საფრთხის წინაშეა. აქციაზე ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა კარიერზე მისვლას – თუმცა პოლიციამ ისინი ადგილზე არ შეუშვა.



**საქართველო ევროკავშირის წევრობის
კანდიდატი ქვეყანა გახდა**

ევროკავშირს საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. გადაწყვეტილება ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა, **შარლ მიხეილა** „ტვიტერზე“ დაწერა. „ევროკავშირს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის შესახებ. ევროკავშირის საბჭომ საქართველოს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი და ევროკავშირი დაიწყებს მოლაპარაკებებს ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, მას შემდეგ რაც მიადწევს წევრობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის აუცილებელ ხარისხს და მოიწვია კომისია მართლმადიდებელი მთავრობის ანგარიშში ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. იმედის ნათელი სიგნალი მათი ხალხისა და ჩვენი კონტინენტისთვის“, – წერს შარლ მიხეილა.

ევროკავშირის საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაციით ევროკავშირის საბჭოს 8 ნოემბერს მიმართა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, **ირაკლი კობახიძემ** 2022 წლის მარტში განაცხადა, რომ საქართველომ მიმართა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუს-



სის მისაღებად. იმავე წლის 3 მარტს კი, წევრობაზე საქართველოს ოფიციალურ განაცხადს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** ხელი მოაწერა. საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გააკეთა სტრატეგიული არჩევანი და ევროკავშირის და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქვეყნის განვითარების უპირობო მიმართულებად დაისახა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა მეოთხედ საუკუნეზე მეტს ითვლის და დღეს, ჩვენ უფრო ახლოს ვართ ევროკავშირთან, ვიდრე ოდესმე. საქართველო ეტაპობრივად

და თანმიმდევრულად უახლოვდება ევროკავშირის საერთო ევროკავშირის ფასეულობებისა და პრინციპების დაცვით, საუკეთესო ევროკავშირის სტანდარტებისა და ნორმების დანერგვით ყველა დარგში. დღეს, საქართველო ევროკავშირის ურთიერთობები განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის როგორც პოლიტიკური, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია. ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით, განხორციელებული მდგრადი რეფორმებისა და ევროკავშირთან ინტენსიური და წარ-

მატებული თანამშრომლობის შედეგად, მიღწეულ იქნა ისტორიული მნიშვნელობის შედეგები. ევროკავშირი და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობის გაყარების მიზნით საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ძალისხმევით ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა:**
ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში უფიქრობან, რომ ინფორმაცია აზროვნების განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი - მივსალმებით ევროკავშირს და აღაფხვამბობთ იმას, რაც არის ისტორიული მომენტი ევროკავშირის და ტრანსატლანტიკური პარტნიორობისთვის



ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმება ევროკავშირის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებას ევროკავშირის გაფართოების შესახებ, ეს არის ისტორიული მომენტი ევროკავშირის და ტრანსატლანტიკური პარტნიორობისთვის, - ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის, მეთუ მილერის განცხადებაშია აღნიშნული.

„გადაწყვეტილებები უკრაინასა და მოლდოვასთან ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების, საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების და ბოსნია და ჰერცეგოვინასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის შესახებ, როგორც კი ის დააკმაყოფილებს აუცილებელ კრიტერიუმებს, აძლევს იმედს და სტიმულს ამ ქვეყნებს და მათ ხალხს, გააგრძელონ საჭირო რეფორმები, რომელიც საჭიროა ევროკავშირთან დაკავშირებულ ამბიცი-

ებში წარმატების მისაღწევად. ეს არის ისტორიული მომენტი ევროკავშირის და ტრანსატლანტიკური პარტნიორობისთვის, - აღნიშნულია განცხადებაში.

მეთუ მილერი ხაზს უსვამს, რომ შეერთებული შტატები კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს ევროკავშირის გაფართოების პროცესს და მხარს დაუჭერს ევროკავშირის კანდიდატ და პერსპექტიულ კანდიდატ ქვეყნებს იმ მნიშვნელოვან რეფორმებში, რომლებსაც ისინი ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ახორციელებენ.

„ტრანსატლანტიკური საზოგადოებ-ისთვის ამ გადაწყვეტ მომენტში, ჩვენ მოვუწოდებთ მათ გამოიყენონ შესაძლებლობა, რათა გააძლიერონ თავიანთი სრული დემოკრატიული და ეკონომიკური პოტენციალი და უზრუნველყონ თავიანთი მომავალი ევროპაში“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ოზურგეთის მთავარი ქუჩები საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით მოიხატა

საქართველო კანდიდატის სტატუსის მიღებას აღნიშნავს. მთელი ქვეყნის მასშტაბით ევროკავშირის დროშები გამოიფინა. სიმბოლოურად, ადმინისტრაციულ შენობებზე და ქალაქების ცენტრალურ ქუ-



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნაირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს



სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნაირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც კომპანია „პალადა“ ასრულებს. პროექტის ღირებულება ვაშში 1 744 598 ლარს შეადგენს. მუშაობა ჩატაში, გვიშალაურსა და ქალაქში მიმდინარე სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა მოადგილე თორნიკე ტიკაძესთან ერთად დაათვალიერა.

ლანჩხუთის სახალხო ილუმინაციების მონტაჟი მიმდინარეობს



ქალაქის მთავარი ნაძვის ხის მორთვა მომავალ კვირაში დაიწყება. განახლებული სადღესასწაულო ილუმინაციებით ქალაქის სკვერებიც და ქუჩები მორთვება. ქალაქში მიმდინარე სადღესასწაულო სამზადისი ლანჩხუთის მერმა

ალექსანდრე სარიშვილმა პირველ მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძესთან და „ლანჩხუთის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ ხელმძღვანელ გიორგი მოქიასთან ერთად დაათვალიერა.

გურიის ეროვნული პარკის საბოლოო საზღვრები მოინიშნა

ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული კვლევებისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, გურიის ეროვნული პარკის საბოლოო საზღვრები მოინიშნა. რეგიონში ახალი დაცული ტერიტორიის შექმნა მხარის ადმინისტრაციის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ინიციატივით ხორციელდება. გურიის ეროვნული პარკის შექმნა ხელს შეუწყობს უნიკალური ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების დაცვას, რეგიონის ცნობადობის გაზრდას, ეკოტურიზმის და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. ეროვნული პარკის შექმნის შესახებ კანონპროექტი საჯარო განხილვის ფო-

რმატში მოსახლეობას წარედგინა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ქეთევან მისწრაფეშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი კარლო ამირგულაშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ დეკანოიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.



თაყაიშვილის ქუჩაზე ნაძვის ხეები მოჭრეს



ტოტების ჩამოჭრას. - ამ ქუჩაზე არაფერი მოგვიჭრა, ავერ ხეებს ვალაპაზებთ და ეტყობა ვიღაცამ შეცდომამ შეგვიფანათო მოგვიანებით გავიგეთ, რომ მათ ინფორმაცია ნაძვის ხის მოჭრის შესახებ დამალეს(!) 3 ძირი ნაძვი მანქანათმშენებელი ქარხნის შესასვლელთან, სოფელ ლისაურის მხარეს იყო მოჭრილი. - ხეები ამორტიზებული იყო. ამხე არსებობს ზედამხედველობის სამსახურის დასკვნა და ხეები არსებული წესების დაცვით მოიჭრა - გვითხრა ოზურგეთის „სერვისცენტრის“ უფროსმა ვია ანთაძემ. - სამი ძირი მოჭრეს. აქ კიდევ რამდენიმე გამშარი ნაძვის ხეა. უნდა მოჭრან, რადგან შესაძლოა 5 წლის წინ რომ იყო, ისეთი ქარიშხლის დროს საღი ნაძვები დაზიანდეს. ქუჩის გაყოფაზე სამ ძირ ნაძვს კი ტოტები შეართვეს მხოლოდ - გვითხრა ამ ქუჩის მცხოვრებმა ა. ქავთარაძემ.

12 დეკემბერს, დაახლოებით 18 საათზე, გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში დარეკეს, სასწრაფოდ მოდიოდა თაყაიშვილის ქუჩაზე, მანქანათმშენებელ ქარხანასთან ახლოს ქარსაფარ ზოლის - ნაძვის ხეებს ჭრებოდა. მალე მივედით, თუცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ოზურგეთის „სერვისცენტრის“ თანამშრომლები სხვა ლოკაციაზე ახდენდნენ 3 ძირი ნაძვის ხისთვის

სოფლის ცხოვრება

ბ

ბახვი ჰესი

კომპანია ბახვი ჰესი - ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

კახა ჩავლეშვილი - სოფლის მეურნეობას ახალბურთებს დაყოფილი და დაქუცმაცებული მიწები - რომსა და საბერძნეთში სიკვდილით სჯიდნენ მემამულეს, რომელიც ნაკვეთს გაყოფდა ლალო მინაძემ „გურიის მოსახლე“

„გაუმართავი მიწის სამართალით, სოფელი დაგვარგეთ, მაგალითად კლასიკური გაგებით, არც შემოქმედი, არც მაკვანეთი, არც ლიხაური, არც ბოხვაური და სხვა სოფელი აღარ არის. ესენი არიან ქალაქის ტიპის დასახლებები, რადგან ძველი სოფლის არსებული მიწები დაქუცმაცებულია სამი ათასიდან ხუთი ათას მიწის ნაკვეთებამდე. მოკლედ, მიწის სამართალში ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე“



„ბახვი ჰესის“ რუბრიკის „სოფლის ცხოვრება“ სტუმარია კახა ჩავლეშვილი

კახა, რა აფერხებს გურიაში სოფლის მეურნეობის განვითარებას?

— სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი შემაჯავრობელი ფაქტორი გამოუყენებელი მიწებია, გურიაში მიწების დაახლოებით 30%-ია დაქუცმაცებული.

გამოთბობა, რომ ვართ მცირემფიანი და ამ მცირემფიანობის პირობებშიც, სავარგულების უძრავლესობა დაუშუქავს. სწორედ ესაა საკითხი, რატომაც ეს მიწები დაუშუქავს, რა უშლის ხელს ამ მიწების დაქუცმაცებას. პირველი, რაც თვალში მოხვდება, ამ მიწებს აქვს სამართლებრივი პრობლემები, ანუ ჩვენი მიწის სამართალი ვერ უზრუნველყოფს მიწის ექვემდებარებას.

რაში მდგომარეობს ეს? პირველ რიგში, მიწა არის დაქუცმაცებული, მაგალითად შეხვდეთ სავარგულს, დიდ ფართობს, რომელიც დაყოფილია ათას ნაწილად, მე ვსაუბრობ გასული საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებულ მიწის რეფორმებზე, რომლის დროსაც მოხდა მიწების დაქუცმაცება. სწორედ ამ მიწების დიდი ნაწილია დღეს დაუშუქავი და დაქუცმაცების შემთხვევაშიც მოსავლიანობა არის მწირი, რადგან ამ მიწების მფლობელები ნაკვეთებიდან დაახლოებით 30 კილომეტრი მანძილით არიან დაშორებული და მოწყვნილი მოსავალი გაწეულ ხარჯებსაც ვერ ფარავს.

პირველი მუშაობა ძველები მიწის სამართლისა, ასევე კანონები ძველ რომსა და საბერძნეთში კრძალავდა მიწის ნაკვეთების დაყოფას - დაქუცმაცე-

ბას, მაგალითად, რომსა და საბერძნეთში სიკვდილით სჯიდნენ მემამულეს, რომელიც ნაკვეთს გაყოფდა.

რატომ? იმიტომ, რომ მიწის ნაკვეთის დაყოფა ახალბურთებს მის ექვემდებარებას აქვთიებს მოსავლიანობას, წარმოიღვინეთ ახლა თქვენ ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაყოფილი ათას ნაწილად, იქ ათასი ლობე უნდა გაკეთდეს, ათასი გზა უნდა შევიდეს და ათასი კაცი უნდა ჩავიდეს, როცა შესაძლებელია ეს დაამუშაოს ათას და თხუთმეტამ ადამიანმა.

ანუ მივიღოთ სიტუაცია, რომ ხშირ შემთხვევაში მიწა აქვთ ისეთ ადამიანებს საკუთრებაში, რომლებსაც არ უღირთ მისი დაქუცმაცება ნაკვეთის სიმცირის გამო. შეუძლებელია, ამ მცირე ნაკვეთზე მოყვანა მოსავალმა გაწეული ხარჯებიც კი დაფაროს.

საინტერესოა, რომ სახელმწიფოს აქვს აღებული ვარკვეული პროტექციონული პოლიტიკა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით. მაგალითად თუ სასოფლო სამეურნეო მიწაზე წელიწადში ვინც ვინც გადასახდეს დაახლოებით 60 ლარს, არასასოფლო სამეურნეოზე ეს ციფრი 600 ლარია. განსხვავება სოლიდურია, ანუ სახელმწიფო იმ ადამიანებს, ვინც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ბევრად, ძალიან დაბალი განაკვეთით. მაგრამ არის შემთხვევები და მასიურია ეს, რომ ადამიანი არ იყენებს ამ მიწის ნაკვეთს და მინც სარგებლობს სახელმწიფოს ამ შეღავათებით.

2005 წლიდან კი ეს ადამიანები საერთოდ განთავისუფლებულნი არიან გადასახდებისაგან. ანუ მივიღოთ სიტუაცია, როცა მიწა -

როგორც საბიუჯეტო, ასევე სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, ყოველგვარი ექვემდებარების მიღმა დარჩა.

როცა შევარდნაძის დროს, გამოვიდა საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი ის შეიცავდა ასეთ დათქმას - თუ ადამიანი სასოფლო სამეურნეო მიწას არ იყენებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად, მაშინ მას ამ მიწაზე უნდა გადაეხდა არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი. ანუ თავისუფლდებოდა პრივილეგიებიდან. ეს დათქმა ძალზე მოხსნეს.

ამას 2005 წელს დაემატა გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც რეფორმით გადაცემული მიწის ნაკვეთები საერთოდ განთავისუფლდნენ გადასახადიდან. ახლა ვლენდობთ მოცემულობას, ადამიანებს, რომლის უმრავლესობასაც წარმოადგენს კი არა აქვთ სოფლის მეურნეობაზე, აქვთ დაქუცმაცებული, პატარა-პატარა მიწის ნაკვეთები, რომლებსაც არც იყენებენ, არც ყიდიან და რომ იტყვიან „უღიანი“ თავისთვის.

გურიაში მაგალითად ამ მხრივ სრული კატასტროფა ვერაქვს, ბარდ ვეალში გადასული, გვერდნული პლანტაციები.

შესაძლებელია, ეს საკითხი ასე მტკიცებულად არ იდგეს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ტყეების ნაკლებობა და ვულ მინდობები ბევრი გურიაში, ჩვენ პირველ რიგში, მიწების დაქუცმაცებით, გაუმართავი მიწის სამართალით, სოფელი დაგვარგეთ, მაგალითად კლასიკური გაგებით, არც შემოქმედი, არც მაკვანეთი, არც ლიხაური, არც ბოხვაური და სხვა სოფელი აღარ არის, ესენი არიან ქალაქის ტიპის დასახლებები. რადგან ძველი სოფლის არსებული მიწები დაქუცმაცებულია სამი ათასიდან ხუთი ათას მიწის ნაკვეთებამდე. მოკლედ მიწის სამართალში ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე.

მაგალითისათვის ავიღოთ რუსეთის იმპერია, როცა ის გურიაში შემოვიდა, ანუ გურია მიერთდა, დაახლოებით 35 მუსლი დამატებით შეიტანა მის სამართალში მიწასთან მიმართებაში, სწორედ გურიის სპეციფიკიდან გამომდინარე. სპეციფიკად ოზურგეთის მაზრისათვის, მათ შორის, როგორც ზემოთ ვთქვით

ჩაის სახლი „გურულეები“ ბიო ჩაის პროდუქციის წარმოებას გეგმავს

წუბზარ ასათიანი, „ალიონი“

ჩაის სახლი „გურულეები“ ბიო ჩაის პროდუქციის წარმოებას გეგმავს და 2024 წელს პირველ ნაბიჯებს გადადგამს, 5 ჰექტარ ჩაის ფართობზე ბიო ჩაის მოიყვანს. ამისთვის კი, მხოლოდ ორგანულ სასუქებს გამოიყენებენ.

ინდ. მეწარმე ჯონი ნაჭყეაძის 2012 წლიდან სოციალურად დაუცველის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. დღეს, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით იგი ერთ-ერთი წარმატებული მეწარმეა და სამარკო ნიშნით „გურულეები“ რამდენიმე სახის ჩაის პროდუქციას უშვებს. მომავალი წლიდან მომხმარებელს ახალ ბრენდს „ჩაი ფოლოთი“ შესთავაზებს.

— განათლებით ინჟინერ-ელექტრიკოსი ვარ. 10 წელი ჩემი სპეციალობით თბილისის საავიაციო ქარხანაში ვმუშაობდი. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მდგომარეობა აირია, მცირე ბიზნესში გადავედი. შემდეგ ჯანმრთელობა მდგომარეობა გამოუარესდა, ვერ ვმუშაობდი. 2012 წელს სოციალურად დაუცველის სტატუსიც მომიანიჭეს, სოციალურ დახმარებას ვიღებდი.

როცა ადამიანს არ შეუძლია, სახელმწიფო ეხმარება, მაგრამ მე ოჯახი მყავს და ვცდილობდი აქტიურ ცხოვრებას და ვებრუნებოდი. ძალიან ბევრს ვფიქრობდი წარსულში რეგიონის ეკონომიკისათვის ყველაზე შემოსავლიან დარგზე - ჩაის წარმოებაზე.

სოფელ ნაგომრის მაგალითზე ვიცოდი, რომ ეს სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩაის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი იყო. ჰქონდა დიდი წარმატობის ჩაის ფაბრიკა, რომელიც დრო-ჟამის ცვალებადობისას დაანგრევს და მანქანა-დანადგარები ჯართად ჩააბარეს. 10-15 წლის წინ სოფელში 300 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია იყო, შემდეგ ამოძირკვეს და თხილი გააშენეს. თუმცა სხვა სოფლებისგან განსხვავებით აქ შედარებით მეტი ჩაის ფართობი იყო შენარჩუნებული, ოღონდ მიუკვლევი და გავერანებული.

2015 წელს სოფელ ნაგომარში ჩვენმა მეგობარმა ნანა ყირიმელაშვილმა ჩემს ძმასთან კახა ნაჭყეაძისთან ერთად კოოპერატივი „ნაგომარი“ დაარსა. ვხვდავდი, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა.

დღეს, გურიის რეგიონში ერთ-ერთი წარმატებული მეწარმე ჩაის დარგში დავით თენიშვილია. რამდენჯერმე მივმართეთ რეგიონისათვის. ბევრი



სასარგებლო რჩევა მოგვცა.

„აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მცირე საგრანტო განაცხადი გავაკეთეთ მობილური ტელეფონით. წარმოიდგინეთ, 20 დღის შემდეგ პასუხიც მოვიდა, დააფინანსეს და საწარმომ ჩაის საშრობი ღუმელი შეიძინა.

კოოპერატივ „ნაგომარს“ ევროკავშირის პროგრამა დაუდგა მხარში, 40 ათასი ევრო გადასცეს ტექნიკის შესაძენად და მათ შემდეგ ჩაის გადაამუშავებელი მანქანა-დანადგარების შეძენა და 10 ჰექტარ ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია.

თქვენ როდის დაიწყეთ ჩაის წარმოება, რა სახელები გაქვთ?

— ორი წლის წინ ჩაის სახლი „გურულეები“ დავარსეთ. ამ საქმეში სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დამეხმარა. 40 ათასი ლარი გამომიყვანეს და ჩინური კონვეიერული სისტემის ჩაის საშრობი დანადგარი შევიძინეთ, რომლის ანალოგი გურიაში არ არის. ამ დანადგარმა ხარჯი შეამცირა და პროდუქციის

ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესა.

აღნიშნული დანადგარის წარმოება დღე-ღამეში 400 კილოგრამი მზა პროდუქციას უშვებს საათში. საწარმოს 3 ადამიანი ემსახურება.

„გურულეების“ მარკით ვუშვებთ „შავი ბაიზის“, „მწვანე“, „კავკასიური მოცვის“ ჩაის და ჩაის ერთჯერად პაკეტებს.

გვეყავს პარტნიორი კახეთის რეგიონში, წარმატებული მეწარმე ზურაბ ალავეცი, რომელსაც ყვარლის მუნიციპალიტეტში 30 ჰექტარი ყოფილი პლანტაცია აქვს გაშენებული. შევიმუშავეთ და მომავალი წლიდან ქართულ და არა მარტო ქართულ ბაზარს მივაწვდით ჩაის ფოლოთი. ვფიქრობთ, როგორც 100-გრამიანი დაფასოებით, ასევე ერთჯერადი პაკეტების სახითაც გამოვიშვებთ.

რა ადგილი უკავია ჩაის კულტურას რეგიონის განვითარებაში?

— რეგიონში ბევრი ჩაის პლანტაცია ამოძირკველია, ბევრად მოცვსა და სხვა კენკროვან კულტურებს აშენებენ. მაგრამ გურიაში ჩაის კულტურას დირსული ნიშა უნდა ჰქონდეს. ჩვენ ჯერ-ჯერობით ჩაის პროდუქცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გავვაქვს, ვგეგმავთ შუა აზიის ქვეყნებში გატანასაც.

ჩაის პლანტაცია თქვენს პარტნიორს კოოპერატივ „ნაგომარს“ აქვს. თქვენ?

— ჩაის სახლი „გურულეები“ ამჟამად 9 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. სრულმოსავლიან პლანტაციაში ჰექტარზე 1 ტონა ხარისხიანი ფოთოლი იკრიფება. რა თქმა უნდა, ჩაის ფოთოლსაც ვყიდუ-

კახა ჩავლეშვილი - სოფლის მეურნეობას ანადგურებს დაყოფილი და დაშუბრებული მიწები - რომსა და საბერძნეთში სიკვდილით სჯიდნენ იმეამულს, რომელიც ნაპოვით გაყოფდა



მიწის სამართალი, მემკვიდრეობის საკითხები.

მაგალითად, ჩვენ გვაქვს გერმანული სამოქალაქო კოდექსი, მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ეს კოდექსი ამბობს, რომ თუ მემკვიდრეობით ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწის გადაცემა, არ შეიძლება მისი გაყოფა და ის უნდა გადაეცეს იმ მეკვიდრეს, რომელსაც ყველაზე მეტი გამოცდილება აქვს სოფლის მეურნეობის საკითხებში. ამას გვეუბნება ჩვენი სამოქალაქო კოდექსი, მაგრამ იყენებს ვინმე ამას? თუ ადამიანი რომელიც გარდაიცვლება და ტოვებს სასოფლო სამეურნეო მიწას, დღეს ეს მიწა იყოფა იმდენზე რამდენი მემკვიდრეცაა. როგორც მოგეხსენებათ, ეს ძირითადად შევარდნაძის პერიოდში მიღებული კანონებია, როცა ჩვენი კანონმდებლები დიდი კანონმდებლებით არ გამოირჩეოდნენ და ხდებოდა გადმოწერა ევროპული კანონმდებლობის, ძირითადად გერმანიის, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება რომაულსა და ბერძნულ სამართალს, განსაკუთრებით მიწის

ნაწილში. აქ გერმანული სამართლის მიხედვით მემკვიდრეობით აკრძალულია მიწის ნაკვეთის გაყოფა და ის რჩება ერთ მემკვიდრეს ერთი შეხედვით, ეს მიიჩნეოდა უსამართლო სამართლად, ქართული სამართალი კი, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, აზნაურს თუ ჰყავდა ათი შვილი, მიწები ათად იყოფოდა და გადაეცემოდა ათივეს, ითვლებოდა სამართლიანად. სწორედ მიწის ნაკვეთების ამ სამემკვიდრეოდ დაყოფებმა მიგვიყვანა საბოლოოდ „კოლმეურნეობის პერსონაჟამდე“ და ეს დაყოფა გახდა სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი დარტყმა.

— რა არის დღეს გამოსავალი?

—სახელმწიფომ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი კოოპერაციულ წარმოებას და მიწის შესაკუთრებამ თავიანთი ნაკვეთები უნდა გააერთიანონ. თუ გლეხები შეძლებენ მიწის ნაკვეთების გაერთიანებას, სახელმწიფო მათ უნდა დაეხმაროს აგრარონობით, ვეტერინარობით, თავისთავად შელაგათიანი კრედიტებით, მიწა უნდა ჰქონდეს იმს,

ვინც მიწის ფასი იცის, იცის მისი დაზღვევა და პროდუქციის მიყვანა.

რამდენი ვიცით ჩვენ ადამიანი, მკოდნე, კვალიფიციური და არა აქვს მიწა და არც შესაძლებლობა შეიძინოს და პირიქით, აქვთ ჰექტრებით მიწები, მართლა „უგლიათ“ გავერანებული და უპატრონი და ელოდებიან ვიღაცას, რომ „ცეცხლის ფასად“ მიჰყიდონ.

გამოსავალი არის ასევე — ის მიწები, რომლებსაც არ გამოიყენებენ და მაინც სარგებლობენ სახელმწიფო შეღავათებით, უნდა დაიბეგროს როგორც არასასოფლო სამეურნეო.

თუ მოგვყავს სოფლის მეურნეობის პროდუქცია-ისარგებლე სახელმწიფო შეღავათებით — თუ არა — მაშინ გადაიხადე, როგორც არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ტოლი.

— ასეთი გამკაცრებით რას მივიღებთ?

— გაყიდვის მიწას ის, ვისაც ტყეოლა აქვს და არ იყენებს, შეიძენს ის, ვისაც სჭირდება.

გაიხსენეთ ელექტროენერჯისთან დაკავშირებული მოვლენები, არ იყო ელექტროენერჯია იმიტომ, რომ ხალხი გადასახადს არ იხდიდა, დაიწყო ხალხმა გადასახადის გადახდა და გაჩნდა დენი, დაახლოებით იგივეა მიწაზეც. გადაიხდი გადასახადს? გეკნება შემოსავალი, არ გადაიხდი და იქნება გავერანებული. ეს ათასწლოვანი ტრადიციაა, შემერებიდან მოდის, რომისა და ბერძნული გამოცდილებით, რომში კიდევ ხაზს ვუსვამ, მიწის გაყოფა ითვლებოდა უპატივებელ დანამაულად, ჩვენ ეს ტრადიციები დავკარგეთ, დავკარგეთ სოფლის მეურნეობის კულტურების ცოდნა და გამოცდილება, ამას ხელახლა შეიძენა სჭირდება.

ჩაის სახლი „გურულები“ ბიო ჩაის პროდუქციის წარმოებას ბებეაპს

ლობთ. სეზონზე ჩვენთან 35 მკრეფავი მუშაობს, რომელთა დღიური ანაზღაურება 50-დან 70 ლარამდეა.

სამწუხარო ის არის, რომ ჩაის მკრეფავები მხოლოდ საშუალო და უფროსი ასაკის ქალბატონები არიან. ახალგაზრდები ამ საქმით ნაკლებად ინტერესდებიან.

ვფიქრობთ, გამსხვილებას და კოოპერატივ „ნაგომართან“ გაერთიანებას.

— თქვენ დავით თენიშვილი ასხენეთ. რა ურთიერთობები გაქვთ სხვა მეწარმეებთან. ისინი ხომ თქვენი კონკურენტები არიან?

—დავით თენიშვილი უანგაროდ გაძღვეს რჩევებს. დღეს, ჩაის ბაზარზე ქართულ კომპანიებს ერთმანეთთან კონკურენციის საფორთხე არ აქვს, რადგან ბაზარზე მოთხოვნა დიდია და ჩვენ მას ნაწილობრივ ვაკმაყოფილებთ. კონკურენცია იქნება მხოლოდ ხარისხში. კარგი ურთიერთობები გვაქვს სხვა მეწარმეებთან: ნიკა სიორიძესთან, ირაკლი ლუმაბაძესთან, ლანა ჟღენტთან, მალხაზ ლიპარტელიანთან, გიორგი მახსურაძესთან, ლევან თავიშვილთან, სხვებთან.

დავით თენიშვილის კონსულტაციებით და დახმარებით ბიო ჩაის გამოშვებას ვგეგმავთ. რადგან ბაზარზე მოთხოვნა დიდია, ასევე მნიშვნელოვანი იქნება ხსნადი ჩაის — ჩაის პაკეტების წარმოების



გაფართოება.

— თქვენ ხშირად მონაწილეობთ „ჩაის გზის“ ფესტივალში.

— ძალიან სასარგებლოა ასეთი ფესტივალის მოწყობა ჩაის მეწარმეებისათვის. ეს მცირე ბიზნესის ხელშეწყობაა და საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციაში გვიწყობს ხელს. ასევე მნიშვნელოვანია შიდა ტურიზმის განვითარებისათვის. წელს „ჩაის გზის“ ფესტივალი შეკვეთილში, მუსიკოსთა პარკში გაიმართა და ტურისტების დიდი ნაკადიც დაესწრო. ძალიან სასიამოვნოა, რომ კომპანია „ბაზვი ჰესი“ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად, ასეთი კარგი ფესტივალს აფინანსებს.

ამ ფესტივალის გამოცდილებით ჩაის სახლი „გურულები“ ტურისტების

მიზილვას გეგმავს.

— როგორ ფიქრობ, რა დადებით შედეგს მოუტანს გურაის მდინარე ბაზვის ხეობაში აგებული ჰესები?

— მე მეწარმე ვარ და ჩვენი საქმიანობა ხარისხიანი ელექტროენერჯის მიწოდებაზეა დამოკიდებული. წარმოების ზრდა მეტ ელექტროენერჯის მიწოდებას ითხოვს. მივესალმები ასეთი მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობას. ნამდვილად არ უნდა ვიყოთ ელექტროენერჯის იმპორტზე დამოკიდებული. „ბაზვი ჰესის“ შესახებ არაერთი მასალა წავიკითხე ელექტრონულ თუ ბეჭდურ გამოცემებში და ვფიქრობ, მათ მიერ განხორციელებული სოციალური პროექტებიც მნიშვნელოვანია.

წარმატებული ფერმერები გურიიდან – მაგალითი როგორც დაგპლითი სიღარიბე „ინფორმირებულიობიდან კეთილდღეობამდე“

„ბაზვი ჰესის“ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს შემაჯამებელი შეხვედრა

მიმდინარე წლის 15 დეკემბერს „ბაზვი ჰესის“ მენეჯმენტის და კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს 2023 წლის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა.



„ბაზვი ჰესის“ დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა საბჭოს წევრებთან კომპანიის მიერ მიმდინარე წელს განხორციელებულ აქტივობებზე და 2024 წლის გეგმებზე ისაუბრა. თავდაპირველად, მოკლედ მიმოიხილა ის ძირითადი მიმართუ-

ლებები, რომელზეც წელს „ბაზვი ჰესი“ სოციალური, თუ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მუშაობდა. მათ შორის, მოკლედ შეაჯამა ისეთი პროექტების მიმდინარეობა, როგორიცაა ვანი-სქელში წყლის სისტემის მშენებლობის პროექტი, წინასამ-

შენებლო სამუშაოები, საგანმანათლებლო პროგრამები, „ჩაის გზის“ პროგრამა და სხვა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ 2024 წელს ბაზვი ჰესი მშენებლობის დაწყებასთან ერთად მთავარ აქცენტს სწორედ გარემოს დაცვაზე გააკეთებს.

ამავე შეხვედრაზე ბაზვი ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა, დავით კობერიძემ მრჩეველთა საბჭოს წევრებს ტყის განაშენიანების გეგმა წარუდგინა, მიმოიხილა დას-აქმებული სტატისტიკა და ვრცლად ისაუბრა 2023 წელს განხორციელებული სოციალური პროექტების შესახებ. აღინიშნა, რომ სხვა დანარჩენთან ერთად, წელს კომპანიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ დატვირთული მიმართულება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმ-

ვა და აღსრულება იყო. რაც შეეხება მომავალი წლის გეგმებს, ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება „ბაზვი ჰესის“ მასშტაბურ პროექტს, კერძოდ, ტყის განაშენიანების გეგმის აღსრულებას დაეთმობა.

შეხვედრაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის I წელი და მრჩეველთა საბჭოს წევრების ჩართულობის ანგარიში წარადგინა კომუნიკაციების მენეჯერმა, ნიკა ჩილოყაშვილმა. მან მრჩეველთა საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა 2023 წლის განხორციელებულ სოციალურ პროექტებში აქტიური ჩართულობისთვის და ამ ჭრილში სამომავლო თანამშრომლობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„3 წელი სრულდება, რაც „ბაზვი ჰესი“ გურიის რეგიონშია წარმოადგენილი. უკან რომ ვიხედებით, ვამაყობთ, როგორც თავად პროექტით, ასევე იმ

სოციალური პროგრამებით, რომლის მთავარი მიზანი ადგილობრივებისთვის არსებული პირობებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა. სიამაყით აღვნიშნავ, რომ ჩვენი თითოეული პროექტი ესადაგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების კონკრეტულ მიზნებს, მათ შორის, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას.


ჩვენი მთავარი მისია იმ დანაპირების აღსრულებაა, რომელიც 2021 წელს გურულებს მივეცი. 2024 წელს ჩვენი ძირითადი ყურადღება მშენებლობის პარალელურად გარემოსდაცვითი სტანდარტების მაღალ დონეზე შესრულებას დაეთმობა. მაქსიმუმ ვაგაკეთებთ იმისთვის, რომ სწორედ ადგილობრივ მაცხოვრებლებთან

ერთად ავაშენოთ ჰესი, რომელიც არამარტო რეგიონისთვის, არამედ ქვეყნის მასშტაბით უპრეცედენტო იქნება. ეს ყველაფერი სწორედ გურულების მაქსიმალური ჩართულობით დაიწყო და დარწმუნებული ვართ, ეს პროცესი ასეთივე წარმატებით გაგრძელდება.“

—განაცხადა „ბაზვი ჰესის“ დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა. მრჩეველთა საბჭო 2021 წლის 5 აგვისტოს შეიქმნა და მას შემდეგ, მისი თითოეული წევრი აქტიურად ჩართული, როგორც თავად პროექტის, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამების განვითარებისა და აღსრულების პროცესში. 2024 წელს საბჭოს წევრები მუშაობას შეხვედრების იგივე ფორმატით გააგრძელებენ. აღსანიშნავია, რომ წევრობა კეთილი ნების პრინციპით რეგულირდება და არ არის ანაზღაურებადი.

ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლევრობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომი წლებში

დასაწყისი „ალიონი“ № 27-29



2. მიუხედავად 1906 წლის 16 იანვარს დაკითხა პოლიციის ზედამხედველი ი. ო. სივანი, რომელმაც ასეთი ჩვენება მისცა: თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე ვიპასუხებთ, რომ ჩემთვის უცნობად დარჩენილია, რომელიც დაკავებული იქნა, როგორც გენერალ გრიაზნოვის მკვლელობის შემდეგ, ხშირად ეხვედრებოდა ვაგზის ქუჩაზე, აგრეთვე ვაგზის მოედანზე, დუქანში და გადასასვლელ ხიდან საბილიარლოში, მისი სახელი და გვარი არ ვიცი, გარეგნობის მიხედვით ვფიქრობდი, რომ იგი იბერელი იყო. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოკლა მან გენერალი გრიაზნოვი, მე არაფერი ვიცი. ამ საქმესთან დაკავშირებით სხვას ვერაფერს ვეუბნები.

3. 1906 წლის 17 იანვარს გამოძიებას ჩვენება მისცა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა (მოადგილე) ა. ა. კარასევმა. ჩვენებაში ვკითხულობთ: გუშინ, 16 იანვარს, მეთორმეტე საათის დაწყებისას, მე საოლქო სასამართლოდან შინ ვბრუნდებოდი, ემობრობდი ბარიატინსკის ქუჩის მარცხენა ტროტუარზე (დღევანდელი ლიტერატურის მუზეუმის მხარეს-ვგ.), დავინახე, რომ ქვემოთ გოლოვინის პროსპექტისაკენ მოემართებოდა ორცხენიანი კეიპაჟი (ეტლი-ვგ.), რომლის კოფოზე იჯდა კაზაკი. ვინ იყო ეტლში, მე მაშინ არ ვიცი. მე ეტლს ყურადღებასაც არ მივაქცევდი, რომ არა ერთი შემთხვევა: დავინახე ქალი ორი პატარა ბავშვით, რომლებიც ალექსანდრეს ბაღის მხრიდან ქუჩის მხარეს გადადიოდნენ. შევშფოთდი, მეგონა, რომ ქალსა და ბავშვებს შეიძლება ეტლი დასჯახებოდა. ეტლი გამცდა, მე ქალისა და ბავშვებისაკენ ვიყურებოდი. ამ დროს გაისმა საშინელი აფეთქების ხმა, თითქოს ზარბაზნიდან გაისროლეს. თავიდან ვერ გავიგე, რა მოხდა. აზრზე რომ მოვედი, მივხვდი, რომ ბომბი აფეთქდა. საინჟინრო სამმართველოს შენობის სადარბაზოსთან ჯარისკაცებმა მოიყვანეს შეპყრობილი კაცი, რომელმაც გენერალ გრიაზნოვის ეტლს ბომბი ესროლა და რომელიც მათ ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან შეიპყრეს.

4. ტერორისტული აქტის ადგილზე შეპყრობილ არსენა ჯორჯაშვილს ბომბის აფეთქების შე-

დეგად ისეთი ძლიერი კონტრუზა ჰქონდა მიღებული, რომ საავადმყოფოში მოათავსეს და მისი დაკითხვა მხოლოდ 1906 წლის 27 იანვარს (ტერორისტული აქტიდან მე-11 დღეს) გახდა შესაძლებელი. არსენა ჯორჯაშვილმა ასეთი ჩვენება მისცა: მე ვეუბნობ რკინიგზაზე (უნდა იყოს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში-ვგ.), 16 იანვარს მივდიოდი რკინიგზაზე, რათა გამეგო. ვაფიცავთ მონაწილეობისათვის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ აღმადგინეს თუ არა. ალექსანდრეს ბაღს მივუახლოვდი გოლოვინის პროსპექტის მხრიდან, ბაღის შესასვლელთან (ეს შესასვლელი დღესაც არსებობს სამსახურთაველის პროსპექტისა და ჭანტურის ქუჩის კუთხეში -ვგ.) დავინახე ორი სამხედრო (მიუხედავად დაავადებისა, რომ ესენი იყვნენ კავკასიის მესანგრეთა პირველი ბატალიონის რიგითი, მეზარაბნე მისიევი კირიჭევი და სამურის ქვეითთა 83-ე პოლკის უნტეროფიცერი, უფროსი თანრიგის მწერალი მატვეი კოვალენკო-ვგ.), რომლებიც საათს ყიდდნენ. გამყიდველი და მყიდველები ფასზე ვერ



შეთანხმდნენ, მაშინ მე ჯარისკაცებს საათში 3 მანეთი შევთავაზე, მათ ფული გამო-მართვეს, მაგრამ საათი იმავე პირს მიჰყიდეს, ვისაც ვვაჭრებოდნენ და მიმაღვა სცადეს. მე მათ დავედრე, რომ ფულის დაბრუნება მოეთხოვე (ჯარისკაცები რუსთაველის პროსპექტსა და ჭანტურის ქუჩის კუთხეში არსებული ბაღის შესასვლელ-იდან

ჭანტურისა ქუჩით დადმართს დაუყენენ, მათ არსენა ჯორჯაშვილი ბაღის მხარეს შესასვლელთან დაეწია, რომელიც საინჟინრო სამმართველოს მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა - ვგ.). დავეწიე თუ არა ჯარისკაცებს, ბომბის აფეთქების ხმა გაისმა. ორივე ჯარისკაცი მე მომარდა და შემეპყრეს. ბაღის შესასვლელთან მოიბრინეს სხვა ჯარისკაცებმაც, მიწაზე დამადგეს და ცემა დამიწყეს. ამის შემდეგ არაფერი აღარ მახსოვს (როგორც ჩანს, მიღებული კონტრუზისა და ცემის გამო არსენა ჯორჯაშვილმა გრძნობა დაკარგა -ვგ.).

5. 1906 წლის 17 იანვარს, მის ხელთ არსებული მასალების მიხედვით, თბილისის ოხრანკის უფროსმა ზემდგომი ინსტანციისათვის მოხსენება შეადგინა, რომელშიც ვკითხულობთ: გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა სოციალ-დემოკრატი მუშების მოულოდნელი აღმოჩნდა, მკვლელობამ მუშებს შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მართალია, გენერალ გრიაზნოვს რსდმპ თბილისის კომიტეტმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მოვიხილოთ ტერორის შეწყვეტის შესახებ დადგენილება მიიღეს. ასეთი დადგენილების გამოტანის მიზეზი შემდეგი იყო: სოციალ-დემოკრატთა საბრძოლო ორგანიზაციის წევრი მუშების ნაწილი ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებიდან დათხოვნილი იყვნენ და სამსახურშიც აღარ აბრუნებდნენ. საშუალოდ დათხოვნილმა მუშებმა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ადმინისტრაციას სამსახურში აღდგენის თაობაზე ულტიმატუმი წაუყენეს. მუშების გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა რსდმპ თბილისის კომიტეტი და მათ განუცხადა, რომ შექმნილი ვითარებაში (თბილისში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, მიღწინარეობდა ვაფიცვებისა და რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრება - ვგ.) ულტიმატუმის მხარდაჭერას რსდმპ თბილისის კომიტეტი შეუძლებლად მიიჩნევდა. გაბრაზებულმა მუშებმა თბილისის კომიტეტისაკენ დამოუკიდებლად კრებების ჩატარება დაიწყეს და გენერალ გრიაზნოვისათვის გამოტანილი სიკვდილის

განაჩენის აღსრულება დროებით შეაჩერეს.


6. 1906 წლის 19 იანვარს თბილისის ოხრანკის უფროსმა, როგორც ჩანს, დამატებითი მასალები მოიპოვა და ზემდგომი ინსტანციისათვის ახალი მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში ვკითხულობთ: გენერალი გრიაზნოვი მოკლეს რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ტერორისტებმა. ტერორისტები აპირებენ

გენერალ ვევენი შირინკინისა (კავკასიის პოლიციის გამგე - ვ. გ.) და თბილისის პოლიციის მარტინოვის მოკლას. საბრძოლო ორგანიზაციის წევრები დაჟინებით ავრცელებდნენ ხმებს, გენერალი იმიტომ მოკლეს, რომ თბილისში ჯარმა ქალაქის მცხოვრებლებს სროლა აუტეხოს და უდანაშაულო ადამიანები დაიხიოს. ჯარისა და პოლიციის მხრიდან მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილების მიზნით გენერლის მკვლელობა სოციალ-დემოკრატებმა თვითონ გადასცეს ხელისუფლებას. მკვლელები საბრძოლო ორგანიზაციის რიგითი წევრია, მან თვითონ იკისრა გენერლის მოკლა. გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა არ მომხდარა რსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით. ტერორისტული აქტი განახორციელა სამსახურიდან დათხოვილმა, უსაქმურმა მუშამ.

7. 1906 წლის 23 იანვარს თბილისის ოხრანკის უფროსმა ზემდგომი ინსტანციისათვის უკვე მესამე მოხსენება შეადგინა, რომელშიც ვკითხულობთ: გენერალი გრიაზნოვი მოკლა რსდმპ თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიონის (ჩუღურეთის რაიონის -ვგ.) ტერორისტულმა ორგანიზაციამ. ტერორისტები გენერალს დიდი ხნის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს. 16 იანვარს გენერლის მკვლელობა მოაწყო ორმა ტერორისტმა. ერთ მათგანს ჰქონდა ბომბი, ხოლო მეორეს (პირველი ტერორისტის მკვლეს-ვგ.) - პისტოლეტი. მკვლელობის მოვალეობას შეადგენდა ბომბის მტყორცნელი ტერორისტის დაცვა ბომბის სროლის მომენტში, დაკავების შემთხვევაში და გაქცევისას. ტერორისტი, რომელმაც გენერალს ბომბი ესროლა, გაიქცა და მიმაღვა მოახერხა. შემთხვევის ადგილზე შეიპყრეს მისი მკვლევი არსენა ჯორჯაშვილი. იმის გამო, რომ არსენა ჯორჯაშვილმა მძიმე კონტრუზა მიიღო, პისტოლეტიდან გასროლა ვეღარ შეძლო და მხოლოდ ცდილობდა იარაღი ჩაერთყა დამკავებლებისათვის. მოხსენებაში არის ერთი მეტად საინტერესო ადგილი, თბილისის ოხრანკის უფროსი წერს: ეს ცნობები და დეტალები არ უნდა გახმაურდეს!

ზემოთ მოხმობილი დოკუმენტები ნაწილობრივ ერთმანეთის საწინააღმდეგო ინფორმაციას შეიცავს. ამ და კიდევ სხვა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე აუცილებელი იყო ჟანდარმერიას, ოხრანკასა და სამხედრო პროკურატურას რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გაერკვია და მათ ხელთ არსებულ მასალებში სიზუსტე შეეტანა. მოკვლევისა და მიების პროცესში ყურადღება არ გამახვილებულა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე:

1. გენერალ ფიოდორ გრიაზნოვისათვის ნასროლმა ბომბმა დააზიანა ეტლი, სასიკვდილოდ დაიჭრა გენერალი. იმავდროულად მძიმე კონტრუზა მიიღო ბომბის მსროლელმა ტერორისტმა, რომელიც, გამოძიების ვერსიით, იყო არსენა ჯორჯაშვილი. გამოძიების ვერსიითვე, ტერორისტმა ეტლს ბომბი ბარიატინსკის ქუჩის მხრიდან ალექსანდრეს ბაღის შესასვლელის წინ ტროტუარზე მდგომმა ესროლა. ეს ვერსია არ შეეფერება სინამდვილეს. იმის გამო, რომ თბილისში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, ალექსანდრეს ბაღში უამრავი ოფიცერი, ჯარისკაცი და პოლიციელი იმყოფებოდა. ასე



გენერალი ფიოდორ გრიაზნოვი

რომ, ბაღის შესასვლელიდან ბომბის გასროლა ტერორისტისათვის დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული: მას მამწვე შეამჩნევდნენ და თუ ვერ შეიპყრობდნენ, მოკლავდნენ. ამ საფრთხეს კარგად გრძნობდა ტერორისტი. ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიდან დგინდება, რომ ტერორისტი გენერალ გრიაზნოვის ეტლს ბომბი ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ბარიატინსკის ქუჩის მხარეს მდებარე საინჟინრო სამმართველოს შენობის ან მეორე სართულ-იდან, ან, უფრო სავარაუდოდ, შენობის სახურავიდან ესროლა. ამიტომ იყო, რომ ბომბმა არ დააზიანა ტერორისტი, მაგრამ აფეთქების ტალღისაგან კონტრუზა მიიღო არსენა ჯორჯაშვილმა;

2. არსენა ჯორჯაშვილი მხოლოდ 1906 წლის 27 იანვარს დაკითხეს. გამოძიების კითხვებზე, თუ რატომ მოკლა მან გენერალი გრიაზნოვი, არსენა ჯორჯაშვილმა კითხვითვე მოუგო: ვინ არის გრიაზნოვი? სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რომ თუ არსენა ჯორჯაშვილი მკვლელობის შემდეგ, თავის მართლებას მოჰყოლოდა, რათა დაემტკიცებინა, რომ მკვლელობასთან მას არაფერი საერთო არ ჰქონია. ამის სანაცვლოდ მან გულუბრყვილო კითხვა დასვა;

3. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ და თბილისის ოხრანკამ ვერ მოიპოვეს იმის დამადასტურებელი მასალა, რომ არსენა ჯორჯაშვილი იმ ტერორიტა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც ასეთ საპასუხისმგებლო დავალებას მისცემდნენ. მანამდე არსენა ჯორჯაშვილს არც ერთ ტერორისტულ აქტში არც ერთი მონაწილეობა მიღებული, არ მონაწილეობდა 1905 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1906 წლის იანვრის დამდეგს დიდუბესა და ნაძალადეგში პოლიციასა და ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოუცდელ ტერორისტს კი თბილისის ცენტრში, ისიც სამხედრო მდგომარეობის პირობებში, მაღალჩინოსანი გენერლის ბომბით მოკლას არ დაავალბდნენ;

4. მიუხედავად ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისათვის, რომ ორმა რუსმა სამხედრომ, მეზარაბნემ და უნტეროფიცერმა, არსენა ჯორჯაშვილი ბარიატინსკის ქუჩის ტროტუარზე, ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან შეიპყრეს, მაგრამ ბაღში მყოფ პოლიციელებსა და სამხედროებს კი არ გადასცეს, არამედ ქუჩის მხარეს გადაიყვანეს და პოლიციას საინჟინრო სამმართველოს შენობის წინ ჩააბარეს.

(გაგრძელება იქნება)
პასტანა გურული
(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 556-560

დავით შამოქმედელი – 70

დავით შამოქმედელის საიუბილეო საღამოები ქუთაისსა და თბილისში



წლებიდან წლის დეკემბრის თვის დასაწყისი, დავით ალმაშენბლის, ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, პოეტის, პროზაიკოსისა და ესეისტის

დავით შამოქმედელის საიუბილეო საღამოებით აღინიშნა. 4 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის საზოგადოებაში, ქუთაისის ნიღბების თეატრში, პოეტს გულთბილი, დასამახსოვრებელი

შეხვედრა მოუწყო. საღამო მიჰყავდა მერაბ კვიციანიძეს. პოეტის ლექსებსა და ესეისტურ წერილებზე დაყრდნობით ქუთაისის 31-ე საჯარო სკოლის (დირექტორი ირმა შ-

ელიძე) მოსწავლეებმა მყურებელს წარუდგინეს თეატრალიზებული სანახაობა, დავით შამოქმედელის მონოსპექტაკლი – (რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი), რამაც მყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა: სიტყვებით გამოვიდნენ: აკადემიკოსები: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ავთანდილ არაბული; პოეტები გიზო თავაძე, ცირა შალაშვილი; პროფესორი, პოეტი ომარ გვეტაძე; მწერალი ვია ხოფერიანი; ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაია ცქიტიშვილი, ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ვაჟა ჯუღელი, პოეტები ცირა შალაშვილი, იანელ კოჭლამაზაშვილი. ღონისძიების ორგანიზატორი:– ქუთაისის რუსთაველის საზოგადოება (თავმჯდომარე მერაბ კვიციანიძე), რომელიც გახლავთ, დ. ნაზარიშვილის

კლინიკის დირექტორი, „გულთა კავშირის“ ვიცე-პრეზიდენტი, გორგილაძის პრემიის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე. მხარდამჭერი:–იმერეთის რუსთაველის საზოგადოების (თავმჯდომარე, მწერალი, აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი). 6 დეკემბერს კი, მწერლის შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი საიუბილეო საღამო გაიმართა რუსთაველის მაროვნულ თეატრში. მონაწილეობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები. წარმოდგენილი იქნა ნაწევრები მწერლის ნაწარმოებებზე შექმნილი მონოსპექტაკლებიდან. აუღერდა პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: აკადემიკოსი ავთანდილ არაბული; პროფესორები: გიორგი გოგოლაშვილი და დავით

შამოქმედელის შემოქმედებაზე დაწერილი ვრცელი წიგნის ავტორი, პროფესორი ვიქტორ გვალაია; მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილი; ანსამბლები „ერისიონი“, „ბაგრატი“; მსახიობები: ზურაბ ცინცქილაძე, ბელა კიკვაძე, ელდინო საღარაძე, ვია ჯაფარიძე, იზა ვეფხვაძე, მომღერლები თემურ გუგუშვილი, ირმა სოხაძე და სხვები. დავით შამოქმედელის საიუბილეო საღამოს მხარდამჭერი გახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საიუბილეო 70 წლისთავთან დაკავშირებით **დავით შამოქმედელი** დავით ალმაშენბლის ომარ კვიციანიძის ინიციატივით დაჯილდოვდა.

საბანკეტო დარბაზი „თამარიონი“ გილოცავთ დაგდებ უობა-ახალ წელს!

მასპინძელი გილოცავთ დაგდებ უობა-ახალ წელს!

სს „იბედი“ გილოცავთ დაგდებ უობა-ახალ წელს და ბიწვებით წინასახალწლო ბაზრობაზე!

მასპინძელი „აის+“ გილოცავთ დაგდებ უობა-ახალ წელს! დაუსწარიტო მრავალს!

თოვლი 0+6 18 დეკემბერი ორშაბათი	მზიანი +1+7 19 დეკემბერი სამშაბათი	მზიანი +5+11 20 დეკემბერი ოთხშაბათი	ღრუბლიანი +8+13 21 დეკემბერი ხუთშაბათი	მზიანი ღრუბლიანი +8+12 22 დეკემბერი პარასკევი	მზიანი ღრუბლიანი +7+11 23 დეკემბერი შაბათი	წვიმა -1+11 24 დეკემბერი კვირა
---	--	---	--	---	--	--